საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერკვილაძე ვლადიმერ ნესტორის ძე

მერკვილაძე ვლადიმერ ნესტორის ძე (25. XII. 1919, ზემო ჭყეპი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968), მეცნ. დამს. მოღვაწე (1978). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1944), სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტსკოლა (1946) და საზ. მეცნ. აკადემია (1959). 1946–61 მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე. 1961–70 იყო საქართვ. ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტის, სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის ფილიალის დირექტორი, 1970-იდან – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1968-იდან – თსუ-ის სკკპ ისტ. კათედრის პროფესორი. მ. იკვლევდა სკკპ ისტორიის, სახელმწიფო-თმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიკის აქტ. პრობლემებს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლაში, თბ., 1973; ინტერნაციონალიზმი – ლენინელთა მძლავრი იდეური იარაღი, თბ., 1977; Создание и укрепление советской государственности в Грузии, Тб., 1969.